ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

"დინამო" (თბილისი) - "მეტალურგი" (მოსკვა) - 3:2 (0:1)
6 ნოემბერი. თბილისი. სტადიონი "დინამო". 40 000 მაყურებელი. მსაჯი ა. არაქელოვი (ბაქო).
გოლები: 0-1 მიტრონოვი (35), 0-2 კაპელკინი (55, პენალტი), 1-2 ბერძენიშვილი (57, პენალტი), 2-2 ბერძენიშვილი (67, პენალტი), 3-2 ბერძენიშვილი (88).

"დინამო": დოროხოვი, ჯორბენაძე, გაგუა, შავგულიძე, ფროლოვი, მინაევი, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი , პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

"მეტალურგი": ნაბოკოვი, როდიონოვი, პალისკო, კომაროვი, ალიაკრინსკი, სიზემოვი, პოტაპოვი, ა. ზაიცევი, კაპელკინი, მიტრონოვი, პაპკოვი.

თბილისის "დინამომ" დაამარცხა გათამაშების ლიდერი

დღეს, ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე, მიუხედავათ არახელსაყრელი ამინდისა, ფეხბურთით დაინტერესებულმა მაყურებლებმა ადრიანად მოიყარეს თავი. ეს გასაგებიც იყო – სსრკ პირველობაზე ერთმანეთს ხვდებოდა საბჭოთა კავშირის ორი უძლიერესი გუნდი – გათამაშების ლიდერი, მოსკოვის "მეტალურგი" და თბილისის "დინამო".

სრულ 4 საათზე დაიწყო თამაში.

პირველი წუთები იწყება "მეტალურგთა" უპირატესობით. მე-4 და მე-5 წუთზე შავგულიძემ, ჯორბენაძემ და დოროხოვმა გადაარჩინეს თავისი კარი ორი "მკვდარი" ბურთისაგან.

შემდეგ წუთებში ინიციატივა "დინამოელთა" მხარეზე გადადის. თავდამსხმელთა ხუთეული – კერძოდ პაიჭაძე, ბერეჟნოი და ჯეჯელავა მეტალურგთა კარებთან ქმნიან რამდენიმე კრიტიკულ მომენტებს, მაგრამ დაცვის სწრაფი და ზუსტი თამაში არ აძლევს მათ ანგარიშის გახსნის საშუალებას.

მე-15 და მე-18 წუთზე დინამოელთა კარი კვლავ აშკარა საფრთხეშია, მაგრამ დოროხოვის სხარტმა ნახტომმა იხსნა კარი პირველ ბურთისაგან. მეტალურგელები იწყებენ უხეშობას. მე-25 წუთზე მოედნიდან გაძევებულ იქნენ "მეტალურგთა" და დინამოელთაგან" თითო-თითო მოთამაშე.

33, 34 და 35 წუთზე დინამოელთა თავდამსხმელებს ეძლევათ შესაძლებლობა ანგარიშის გახსნისათვის, მაგრამ ატალახებული მოედანი არ აძლევს ამის შესაძლებლობას. მე-37 წუთზე "მეტალურგთა" მარცხენა გარემარბი დაცვიდან მიღებულ ბურთით გადის გარღვევაზე და უსხლტება ხელიდან მცველებს და თვით დოროხოვსაც და გააქვს პირველი ბურთი.

ტაიმის ბოლომდე მდგომარეობა არ შეცვლილა. პირველი ტაიმი დამთავრდა 1:0 "მეტალურგის" სასარგებლოდ.

შეჯიბრების მეორე ნახევარი კვლავ სტუმრების უპირატესობით იწყება. მე-5 წუთზე "მეტალურგის" მარჯვენა ნახევარ შუამარბმა ხუთი მეტრიდან დააცილა ბურთი ღია კარს. მე-11 წუთზე თბილისელები დაჯარიმდნენ "პენალტით", მეტალურგელებს გააქვთ მეორე ბურთი. თითქოს დინამომ წააგო, მაგრამ მათ შემდეგ წუთებში განავითარეს თავბრუდამხვევი ტემპი და მიიტანეს მთელი რიგი მწყობრი იერიში მოწინააღმდეგეთა კარზე. სტუმრები განაგრძობენ უხეშობას. ისინი მონდომებით ცელავენ პაიჭაძეს და ჯეჯელავას.

მე-14 და მე-20 წუთზე სტუმრები ორჯერ ჯარიმდებიან "პენალტით" მ. ბერძენიშვილს გააქვს ორი ბურთი, გათანაბრდა ანგარიში – 2:2. ტაიმის უკანასკნელი წუთები კვლავ თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობს. მე-42 წუთზე პაიჭაძის მიერ მიწოდებული ბურთი მ. ბერძენიშვილს გააქვს 16 მეტრის მანძილიდან.

სპორტულად საინტერესო მატჩი დამთავრდა 3:2 "დინამოს" სასარგებლოდ.

ვ. გაბელია.
"მუშა", 6 ნოემბერი, 1938 წ.